

საქართველო

საქართველოს

სახელმწიფოს მეთაური: სალომე ზურაბიშვილი

მთავრობის თავმჯდომარე: ირაკლი ღარიბაშვილი

ოპოზიციის წევრებზე, ხელისუფლებისადმი კრიტიკულ მედიაზე და არასამთავრობო ორგანიზაციებზე ხორციელდებოდა, მიყურადება, დაშინება და თავდასხმები არსებული, დაუსჯელობის ფონზე.

პრობლემურ საკითხებად დარჩა სასამართლოს დამოუკიდებლობის დაბალი ხარისხი, შერჩევითი სამართალი და ხელისუფლების ოპონენტების პოლიტიკური სარჩულით დევნა. ნამახვანის სადავო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა პროტესტის შემდგომ შეჩერდა. ხშირი იყო შრომის უფლებების შელახვის შემთხვევები, რამაც უფრო მასშტაბური ხასიათი მიიღო Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების ფონზე. ოკუპირებულ ტერიტორიებზე - აფხაზეთსა და სამხრეთ ოსეთში/ცხინვალის რეგიონში - ადგილი ჰქონდა ისეთ დარღვევებს, როგორცაა გადაადგილების უფლების შეზღუდვა, წამება და სხვა სასტიკი მოპყრობის ფაქტები.

კონტექსტი

პოლიტიკური კრიზისი გაგრძელდა. ივლისში მმართველი პარტიამ დატოვა ევროკავშირის შუამავლობით აპრილში მიღწეული შეთანხმება ოპოზიციურ პარტიებთან, რომელიც მიზნად ისახავდა ქვეყანაში არსებული პოლიტიკური კრიზისის დაძლევას, მათ შორის საარჩევნო და სასამართლო სისტემების რეფორმას და პოლიტიკურ მართლმსაჯულებად აღქმულ საკითხებზე რეაგირებას.

მმართველმა პარტიამ ოქტომბერში გამართული ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნები მნიშვნელოვანი დარღვევების ფონზე მოიგო, რასაც მოყვა პოპოზიციის მხრიდან საპროტესტო დემონსტრაციები. ნოემბრიდან საპროტესტო ტალღას ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილის დაპატიმრების წინააღმდეგ დემონსტრაციებიც დაემატა.

მმართველმა პარტიამ განაგრძო საქართველოში მთავრობის ანგარიშვალდებულებისა და ადამიანის უფლებათა დაცვისა ინსტიტუტების დამოუკიდებლობის დასუსტება.

დეკემბერში საქართველოს პარლამენტმა დაჩქარებული წესით გააუქმა სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩადენილ დანაშაულებს იძიებდა. ასევე დაჩქარებული წესით მიღებული იქნა სასამართლოს დამოუკიდებლობის შემზღუდველი საკანონმდებლო ცვლილებები.

სექტემბერში ხელისუფლებამ უარი თქვა მის მიერ აღებულ ვალდებულებაზე დაესრულებინა პოლიტიზებული დანიშვნები სასამართლოში, რამაც ქვეყანას ევროკავშირის მიერ Covid-19-თან გასამკლავებლად გამოყოფილი 150 მილიონი ევროს ნახევარზე წვდომა დაუკარგა.

Covid-19-ით დაავადებისა და გარდაცვალების მაჩვენებლები აგვისტო-სექტემბერში და ნოემბერში მკვეთრად გაიზარდა. მოსახლეობის ვაქცინირება, საზოგადოებაში არსებული აცრის საწინააღმდეგო განწყობების გამო, ნელა წარიმართა. ამ განწყობებზე საქართველოს მართლმადიდებელმა ეკლესიამაც იქონია გავლენა.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი - კვლავ რუსული ოკუპაციისა და მათი სრული კონტროლის ქვეშ დარჩა.

გამოხატვისა და შეკრების თავისუფლება

ადგილი ქონდა მუქარისა და თავდასხმის შემთხვევებს ოპოზიციის წევრების, სამოქალაქო აქტივისტებისა და ჟურნალისტების წინააღმდეგ, რაც, ხშირად, ხელისუფლების წარმომადგენლების მხრიდან გაკეთებული განცხადებებით ან უმოქმედობით იყო წახალისებული.

5 ივლისს Tbilisi Pride-ის მიერ დაგეგმილი მსვლელობა ჩაიშალა, მას შემდეგ, რაც პოლიციამ მსვლელობის ორგანიზატორების მოძალადე კონტრდემონსტრანტებისგან დაცვა ვერ უზრუნველყო. იმავე დღეს ძალადობრივმა ჰომოფობიურმა ჯგუფებმა Tbilisi Pride-ის ოფისის შენობა დაარბიეს და ორგანიზატორებს გაქცევა აიძულეს. თავს დაესხნენ და ფიზიკური ზიანი მიაყენეს ადგილზე მყოფ 50-მდე ჟურნალისტს. ერთ-ერთი სასტიკად ნაცემი, TV პირველის ოპერატორი ლექსო ლაშქარავა, ინციდენტიდან ექვს დღეში, საკუთარ სახლში, გარდაცვლილი იპოვეს. ხელისუფლების წარმომადგენლებმა მათი ბრალეულობა უარყვეს და ძალადობის პროვოცირებაში Pride-ის ორგანიზატორები დაადანაშაულეს. მათვე გამოაქვეყნეს ლექსო ლაშქარავას სიცოცხლის უკანასკნელ დღეს გადაღებული სათვალთვალო კამერის ჩანაწერები, იმის მისანიშნებლად, რომ ლაშქარავამ თითქოს ნარკოტიკული საშუალება შეიძინა. ხელისუფლებამ ვერ უზრუნველყო მასობრივი ძალადობის ორგანიზატორების სამართლებრივ პასუხისმგებლობა და მოვლენების ეფექტური გამოძიება.

მასობრივი მიყურადება

12 სექტემბერს, ინტერნეტ და მედია სივრცეში განთავსდა ათასობით ფარული ჩანაწერის დოკუმენტური მასალა, რომელიც სავარაუდოდ სახელმწიფო უსაფრთხოების სამსახურის მიერ, მათ შორის, ფარული თვალთვალის და მიყურადების შედეგად არის შექმნილი.

მასალა მოიცავს ჟურნალისტების, სამოქალაქო აქტივისტების, პოლიტიკოსების, სასულიერო პირებისა და დიპლომატების პირადი ცხოვრების ამსახველ დეტალებს. მასალების უკანონოდ მოპოვების შესახებ მიმდინარე გამოძიების შედეგები საანგარიში წლის ბოლოსთვის არ დამდგარა.

სამართლიანი სასამართლოს უფლების დარღვევა

სასამართლოზე სახელისუფლებო შტოს ზეგავლენის საკითხი აგრეთვე, შერჩევითი სამართალი და პოლიტიკური ოპონენტებისა და კრიტიკულად განწყობილი მედიის წარმომადგებლების პოლიტიკური სარჩულით დევნა კვლავ მწვავე პრობლემად დარჩა .

2020 წლის ოქტომბერში „საქართველოს ტერიტორიული ხელშეუხებლობის დარღვევის“ საეჭვო ბრალდებით დაკავებული ორი კარტოგრაფი 28 იანვარს გაათავისუფლეს, თუმცა, აღნიშნული საქმის მიმდინარეობა არ დასრულებულა.

23 თებერვალს პოლიციამ ოპოზიციური პარტიის თავმჯდომარე და პარლამენტარი ნიკა მელია, 2019 წელს გამართული ანტი-სამთავრობო დემონსტრაციებისას ძალადობის წახალისების ბრალდებით დააკავა. მელია 10 მაისს, მას შემდეგ გაათავისუფლეს, რაც ევროკავშირმა, მთავრობასა და ოპოზიციას შორის არსებული დაპირისპირების განმუხტვის მიზნით, მისი გირაო გადაიხადა.

გაგრძელდა ოპოზიციურად განწყობილი სატელევიზიო არხის დირექტორისა და თანადამფუძნებლის სასამართლო პროცესი, რომელიც თანამდებობის ბოროტად გამოყენებისა და ქონების მითვისების დაუსაბუთებელი ბრალდების საფუძველზე დაიწყო. გიორგი რურუა, რომელიც არხის მთავარი მეწილეა, პრეზიდენტმა აპრილში შეიწყალა და ამით, ის 2020 წელს დაკისრებული 4-წლიანი სასჯელისგან გაათავისუფლდა.

1 ოქტომბერს საქართველოს ყოფილი პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი დევნილობიდან დაბრუნდა, მისთვის დაუსწრებლად გამოტანილი 6-წლიანი სასჯელის მოსახდელად. ხუთკვირიანი შიმშილობის შემდეგ, სააკაშვილი იძულებით გადაიყვანეს ციხის სამკურნალო დაწესებულებაში, სადაც სათანადო სამედიცინო მომსახურების გაწევის პირობები არ არსებობდა. აღნიშნულ დაწესებულებაში, სააკაშვილი სხვა პატიმრებისგან მუქარისა და შეურაცხყოფის, ციხის თანამშრომლების მხრიდან კი, დამამცირებელი მოპყრობის სამიზნე გახდა. 20 ნოემბერს კრიტიკულ მდგომარეობაში მყოფი ყოფილი პრეზიდენტი სამხედრო ჰოსპიტალში გადაიყვანეს, თუმცა, 30 დეკემბერს ის ციხეში დააბრუნეს. სააკაშვილის ექიმების თანახმად, არასათანადო მოპყრობის გამო, მისი ჯანმრთელობის მდგომარეობა საგრძნობლად გაუარესდა. სახელმწიფო ინსპექტორის სამსახური, რომელიც აღნიშნულ საქმეზე გამოძიებას აწარმოებდა წლის ბოლოს გაუქმდა. მიხეილ სააკაშვილის მოთხოვნა ხელახალი სასამართლო პროცესის დანიშვნის თაობაზე არ დაკმაყოფილდა.

ნოემბერში ევროკავშირის ელჩმა საქართველოს ხელისუფლება „სასამართლოსა და კანონის უზენაესობის მიმართულებით უკან გადადგმული ნაბიჯების“ გამო გააკრიტიკა, მათ შორის უზენაეს სასამართლოსა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში „გაუმჭვირვალე და არაკონკურენტული“ დანიშვნების და გენერალური პროკურორის დანიშვნის წესთან დაკავშირებით შეთანხმების შეუსრულებლობის გამო.

გარემოს მდგომარეობის გაუარესება

სექტემბერში, ერთწლიანი პროტესტის შემდეგ, დასავლეთ საქართველოში მდებარე ნამახვანის სადავო ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა შეჩერდა. წლის განმავლობაში სამართალდამცავებმა რამდენიმეჯერ დააკავეს და შეუზღუდეს წვდომა სამშენებლო ტერიტორიაზე პროტესტის მონაწილეებს, რომლებიც სადგურის მშენებლობას გარემოსადმი მიყენებული ზიანის მიზეზით აპროტესტებდნენ.

მშრომელთა უფლებები

ხშირი იყო შრომის უფლებების შელახვისა და დარღვევის შემთხვევები Covid-19-თან დაკავშირებული შეზღუდვების გამო, ბევრმა კომპანიამ დასაქმებულები სათანადო პროცედურების დარღვევით გაათავისუფლა, შეუმცირა ან არ გადაუხადა გასამრჯელო, მათ შორის კრიტიკული პროფესიების მქონეებს.

მარტში რეგიონებში მოქმედი კვების სადისტრიბუციო კომპანიაში ათეულობით დასაქმებულს შეუწყდა კონტრაქტი, მას შემდეგ, რაც მათ ხელფასის შემცირება და გაუარესებული სამუშაო პირობები ერთობლივად გააპროტესტეს. აგვისტოში, თბილისის დასუფთავების სამსახურის მეზობლებმა განაცხადეს დაშინებისა და ხელფასის შემცირების მუქარის შესახებ მას შემდეგ, რაც სამდღიანი გაფიცვა მოაწყვეს უკეთესი სამუშაო პირობების მოთხოვნით.

აფხაზეთი და სამხრეთ ოსეთი/ცხინვალის რეგიონი

წამება და სხვა არასათანადო მოპყრობა

ოკუპირებული სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის მცხოვრები ინალ ჯაბიევის გარდაცვალების ეფექტური გამოძიება არ მომხდარა. ჯაბიევი 2020 წლის აგვისტოში, პატიმრობისას გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც დაკავებისას ის სასტიკად სცემეს.

ოკუპირებული აფხაზეთის რეგიონში მცხოვრები ანრი ატეიბა 14 სექტემბერს გარდაიცვალა, მას შემდეგ, რაც ის, 12 აგვისტოს გაგრის დროებითი დაკავების ცენტრში უგონო მდგომარეობაში იპოვეს. საქმეზე გამოძიება კვლავაც მიმდინარეობს.

ქრონიკული დაავადებებისა და სათანადო მკურნალობის ნაკლებობის გამო, გალში მცხოვრები ეთნიკურად ქართველის, ირაკლი ბებუას ჯანმრთელობა სავარაუდოდ გაუარესდა. ბებუა 9-წლიან სასჯელს იხდის აფხაზური დროშის დაწვისთვის.

გადაადგილების თავისუფლება

აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის/ცხინვალის რეგიონის დე ფაქტო ხელისუფლებები აგრძელებდნენ სამოქალაქო პირების დაკავებას და საქართველოს მთავრობის მიერ კონტროლირებულ ტერიტორიასთან მიმოსვლის შეზღუდვას, მათ შორის პანდემიასთან დაკავშირებული საკარანტინო შეზღუდვების მეშვეობით, რამაც გავლენა მოახდინა ადგილობრივთა უფლებრივ მდგომარეობაზე, მათ შორის მათი ეკონომიკური და სოციალური უფლებების დაცვაზე.